მოსამართლის მიერ კითხვების დასმის უფლებამოსილების გამოყენება სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე

2023

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: გია ჩხაიძე
რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, ანა ჯაბაური

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი **4**

მეთოდოლოგია **5**

1. სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა **5**

1.1. სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა შეჯიბრებითი მოდელის მქონე სისხლის სამართლის პროცესში 6

1.2. მოსამართლის უფლება, მხარეებს დაუსვას დამაზუსტებელი კითხვა: ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკა 7

1.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილების სამართლებრივი ანალიზი 9

2. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებში მხარეთა მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში მოსამართლის მონაწილეობა - ძირითადი მიგნებები **11**

2.1. ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე. წ. კარტოგრაფების) საქმე 12

2.2. ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმე 13

დასკვნა..... **15**

შესავალი

სისხლის სამართლის პროცესი მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით იმართება.[1] პოზიციების დასასაბუთებლად, მხარეების კომპეტენციაა მოიპოვონ, სასამართლოს წარუდგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები.[2] თავის მხრივ, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მხარეებისთვის თანაბარი პირობები პოზიციების დასასაბუთებლად და ნეიტრალურ დამკვირვებელს არ შეუქმნას განცდა, რომ ის რომელიმე მხარეს ანიჭებს უპირატესობას.[3] მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობაზე დამყარებული სამართლიანი სასამართლო პროცესის ორგანიზება,[4] სხვაგვარად, ,,მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, თავის თავზე აიღოს ბრალდების ან დაცვის მხარის ფუნქცია".[5]

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, „შეჯიბრებითი სისტემა იძლევა მოქნილობის შესაძლებლობას"[6] და სამართლიანი სასამართლოს პრინციპის გათვალისწინებით, საქმის სრულყოფილად და ობიექტურად განხილვის მიზნებისათვის, მოსამართლეს ენიჭება რიგი საპროცესო უფლებამოსილებები. ამ კუთხით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსამართლეს, მხარეებთან შეთანხმებით, მხოლოდ *დამაზუსტებელი კითხვის* დასმის უფლებამოსილება ჰქონდა მინიჭებული, ,,რაც მოსამართლის როლის დასუსტებაზე მეტყველებდა".[7] აღნიშნული ნორმის ნორმატიული შინაარსი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2021 წელს არაკონსტიტუციურად ცნო.[8] სასამართლოს შეფასებით, სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზნებს ეწინააღმდეგებოდა მოსამართლისთვის კითხვების დასმის გზით სისხლის სამართლის განხილვის პროცესში მონაწილეობის შეზღუდვა.[9]

ნაშრომის მიზანია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების ანალიზის შედეგად, ხაზი გაუსვას მოსამართლის მიერ მხარეთა მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე კითხვების დასმის უფლებამოსილების საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად გამოყენების მიზანშეწონილობას - იმის გათვალისწინებით, რომ ამ საკითხზე არ მოიპოვება მდიდარი ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა. აგრეთვე, გამოკვეთოს მოსამართლის როლი და გააანალიზოს სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლის სამართლის საქმეებში მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში მოსამართლის მონაწილეობის

---

[1] საქართველოს კანონი ,,საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი", სსმ, 31, 03/11/2009, მე-9 მუხლი.

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე ,,საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-22.

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე ,,თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-37.

[4] *გურიელი ა.,* მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები, როგორც სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის საშუალება სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი ,,სამართალი და მსოფლიო", N5, 2016, 46.

[5] *ჩაკვეტაძე გ.,* მოსამართლის როლი შეჯიბრებითობის პრინციპით აგებულ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა N1(2), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2014, 32.

[6] *ჰერბერტ დ., ჩხაიძე გ.,* ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის, გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბ., 2014, 20.

[7] იხ. *აქუბარდია ი.,* შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2/2016, 13.

[8] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე ,,თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე".

[9] იქვე, II-58.

ხარისხის შესაბამისობა მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის ან/და სასამართლოს მიუკერძოებლობის კონსტიტუციურ მოთხოვნებთან.

მეთოდოლოგია

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი ხორციელდება ადამიანის უფლებათა ცენტრის (Human Rights Center) მიერ შემუშავებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის მიზანია, მონიტორინგის ქვეშ არსებული სასამართლო პროცესებისა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობის სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში შესაძლო ხარვეზების, ასევე სავარაუდო პოლიტიკური მოტივების იდენტიფიცირება და ანალიზი.[10]

სასამართლო პროცესების მონიტორინგს ახორციელებს 2 იურისტ-მონიტორი, რომელთაც გაიარეს სპეციალური ტრენინგი სასამართლო პროცესების მონიტორინგის შესახებ. მონიტორინგის სწორად წარმართვისათვის საწყის ეტაპზე შემუშავდა სპეციალური კითხვარი სასამართლო მონიტორინგისათვის. იურისტ-მონიტორები ყოველი სასამართლო სხდომის შემდეგ ამუშავებენ სასამართლო სხდომებიდან მიღებულ ინფორმაციას, რომელსაც იურისტი-ანალიტიკოსი აანალიზებს და შესაბამისი ანგარიშებისთვის იყენებს.

სასამართლო პროცესების მონიტორინგი ეფუძნება ობიექტურობისა და სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის მკაცრი პრინციპების დაცვას. ჩაურევლობის, მიუკერძოებლობის და ობიექტურობის პრინციპებთან ერთად, სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის სათანადოდ გათვალისწინების მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრი მუდმივად ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას სასამართლო სხდომების წარმართვისა და დასკვნების შესახებ პროცესში ჩართული მხარეებისთვის, მედიისა და საზოგადოებისთვის.

1. სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა

მხარეთა შეჯირებითობის და თანასწორობის პრინციპის მთავარი დანიშნულებაა ბრალდებისა და დაცვის მხარის თანაბარი საპროცესო უფლებებით აღჭურვა და მათი ფუნქციის გამოყოფა მართლმსაჯულების ფუნქციისგან.[11] ეს პრინციპი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ერთ-ერთი კომპონენტია, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართალწარმოების შეჯიბრებით ბუნებასთან.[12]

შეჯიბრებითობა გულისხმობს მხარის უფლებას, „იყოს მოსმენილი“, რაც თავის მხრივ, მოიაზრებს მხარეთა უფლებას, მოიპოვონ და სასამართლოს წარუდგინონ მტკიცებულებები[13] და აგრეთვე, „შესაძლებლობას გაეცნონ მეორე მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და კომენტარი გააკეთონ მათზე“.[14] „ამასთან, დაარწმუნონ სასამართლო საკუთარი არგუმენტების სისწორეში და გავლენა მოახდინონ დასაბუთებული, სწორი და სამართლიანი

[10] იხ. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი, (შემაჯამებელი ანგარიში, 2023), ხელმისაწვდომია: https://rb.gy/121v2 [26.10.2023].

[11] *აქუბარდია ი.,* შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2/2016, 11.

[12] *Brandstetter v. Austria,* no. 11170/84; 12876/87; 13468/87, 28 August 1991, §66.

[13] *ჩომახაშვილი ქ., თომაშვილი თ., ძებნიაური გ., ოსეფაშვილი ს., პატარიძე მ.,* მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ,,ღია საზოგადოება საქართველო“, თბ., 2016, 8.

[14] *სურჟინი ა., ჭაჭუკაშვილი ლ., გიგუაშვილი ა., ჩომახაშვილი ქ.,* მტკიცებულებათა მოპოვებისა და სამართლებრივი დოკუმენტების დასაბუთების წესები, სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის, ევროპის საბჭო, 2021, 16.

გადაწყვეტილების მიღებაზე“.[15] რაც შეეხება მხარეთა თანასწორობას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, მხარეთა თანასწორობა სამართლიანი სასამართლოს შემადგენელი ნაწილია, რომელიც გულისხმობს მხარეთა შესაძლებლობას გონივრულ ვადაში წარადგინონ მტკიცებულებები ისეთ პირობებში, რომ არ აღმოჩნდნენ არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით.[16]

შეჯიბრებით მოდელში, სასამართლო ნეიტრალური არბიტრის როლში, „ორგანიზებას უწევს, ზედამხედველობს, აკვირდება და აკონტროლებს მტკიცებულებების გამოკვლევას, რათა უზრუნველყოს სამართლიანი, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს დაფუძნებული, მიუკერძოებელი პროცესი“.[17] ამრიგად, სასამართლო დამოუკიდებლად არ აწარმოებს გამოძიებას, მხოლოდ აფასებს მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ფაქტების მხედველობაში მიღებითა და კანონის საფუძველზე კი, საქმეზე იღებს გადაწყვეტილებას.[18] „მხარეებისაგან განსხვავებით, მოსამართლის ამოცანას არ წარმოადგენს მტკიცებულებების მოპოვება. უფრო მეტიც, მას აღნიშნული კანონით ეკრძალება“.[19]

ზოგიერთი ავტორის აზრით, მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობაზე კონტროლი მოსამართლის არა პასიურ, არამედ აქტიურ როლზე მიანიშნებს, რომლის ფარგლებშიც იგი, მათ შორის, ,,აკვირდება მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესს, თუ რამდენად კანონით დადგენილი წესით მიმდინარეობს და მათი შეფასების შედეგად იღებს გადაწყვეტილებას“.[20] ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ „მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი თავის თავში არ მოიაზრებს რაიმე ფორმით სისხლის სამართლის საქმეზე სიმართლის დადგენის ხელოვნურად შეფერხებას“.[21]

1.1. სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა შეჯიბრებითი მოდელის მქონე სისხლის სამართლის პროცესში

სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტურად განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებელი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს არსებობაზე.[22] ,,მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვის გარანტი არის სასამართლო”.[23] „სასამართლო სისტემა უნდა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე, სამართლის უზენაესობის მიღმა არსებული ყოველგვარი გარე გავლენებისგან თავისუფალი“.[24] ამ პრინციპის ეფექტიანად გამოყენება მნიშვნელოვანია როგორც ინკვიზიციური, ისე შეჯიბრებითი მოდელის[25] მქონე

---

[15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-75.

[16] *Bulut v. Austria*, no. 17358/90, 22 February 1996, §47.

[17] *სურჟინი ა., ჭაჭუკაშვილი ლ., გიგუაშვილი ა., ჩომახაშვილი ქ.,* მტკიცებულებათა მოპოვებისა და სამართლებრივი დოკუმენტების დასაბუთების წესები, სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის, ევროპის საბჭო, 2021, 16.

[18] *Erin C. Blondel,* Victims' Rights in an Adversary System, Duke Law Journal, Vol. 58, No. 2, 2008, 241, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/evec2 [26.10.2023].

[19] *თუმანიშვილი გ.,* სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2014, 226.

[20] *მსხილაძე ლ.,* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის კომენტარი, ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი“, N2(66), 2020, 9.

[21] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე ,,თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-41.

[22] Independence And Impartiality of The Judicial System, Department for The Execution of Judgments of The European Court of Human Rights, Thematic factsheet, 2020, 2.

[23] *მსხილაძე ლ.,* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის კომენტარი, ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი“, N2(66), 2020, 8.

[24] Three Is: Independence, Impartiality and Integrity, Courts and Tribunals Judiciary, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/udwvo [26.10.2023].

[25] *Erin C. Blondel, Victims' Rights in an Adversary System, Duke Law Journal*, Vol. 58, No. 2, 2008, 241, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/evec2 [26.10.2023].

სისხლის სამართლის პროცესში. „მთავარი მოთხოვნა, რომლითაც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლებები მკაცრადაა შებოჭილი - უზრუნველყოს სამართლიანი მართლმსაჯულება“.[26] ,,მხოლოდ სასამართლო განხილვის მიუკერძოებლობით არის შესაძლებელი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა […] მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელება“.[27]

„შეჯიბრებით პროცესში სასამართლო მოკლებულია საკუთარი ინიციატივით დამატებითი გარემოებების გამოკვლევის შესაძლებლობას და იზღუდება მხარეთა მიერ მიწოდებული მტკიცებულებების შეფასებით“.[28] სამთავრობო ფუნქციების ზრდასთან ერთად, იზრდება სასამართლოს პასუხისმგებლობა, ,,დაიცვას მოქალაქეები სახელმწიფოს უკანონო ქმედებებისგან და ამასთან, იყოს ინსტიტუციურად დამოუკიდებელი“.[29]

მოსამართლის დამოუკიდებლობა არა პრივილეგია, არამედ პასუხისმგებლობაა - კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად გადაწყვიტოს სასამართლო დავა ყოველგვარი გარე ზეწოლისა და ჩარევის გარეშე.[30] კონსტიტუციის დონეზე დეკლარირებული სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპი *a priori* ვერ უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას; მნიშვნელოვანია, რომ ამ პრინციპს აღიარებდეს და პატივს სცემდეს ხელისუფლების სამივე შტო: აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო. „მოსამართლეები უნდა აცნობიერებდნენ, რომ ისინი არანაირად არ არიან მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებული და მასზე დამოკიდებული“.[31]

ამდენად, მხარეთა თანასწორობაზე და შეჯიბრებითობის მოდელზე დაფუძნებულ სამართალწარმოებაში, მოსამართლე მართალია, „პასიურია“, მაგრამ უშუალოდ ის ხელმძღვანელობს სხდომას და არის პასუხისმგებელი მიიღოს კანონიერი და დასაბუთებული განაჩენი.[32] „სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა სისხლისსამართლებრივი დევნის, გამოძიებისა და მართლმსაჯულების მიზნობრივი, ეფექტური და სამართლიანი განხორციელება“.[33]

1.2. მოსამართლის უფლება, მხარეებს დაუსვას დამაზუსტებელი კითხვა: ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკა

მტკიცებულებების გამოკვლევის - მოწმის გამოკითხვის ეტაპზე მოსამართლის როლი ვლინდება მისთვის კითხვის დასმის უფლებით სარგებლობასა და მხარის შეკითხვის განრიდების ნაწილში.[34] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების თანახმად, ,,მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს

[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე ,,საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-91.

[27] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე ,,თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-36.

[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650, 699 გადაწყვეტილება საქმეზე ,,საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41.

[29] Three Is: Independence, Impartiality and Integrity, Courts and Tribunals Judiciary, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/udwvo [26.10.2023].

[30] ,,მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბ., 2015, 66.

[31] იქვე, 68.

[32] *მსხილაძე ლ.,* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის კომენტარი, ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი“, N2(66), 2020, 8.

[33] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე ,,საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29.

[34] *კვირიკაშვილი მ.,* მოსამართლის როლი მოწმის დაკითხვის პროცესში, ირინა აქუბარდია 60 -საუბილეო კრებული, *ივანიძე მ. (რედ.),* თბ., 2020, 162.

აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად“. ამდენად, ამ ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობამდე, მოწმის დაკითხვის პროცესში მოსამართლის მონაწილეობა მინიმუმადე იყო დაყვანილი, რომელიც თავის მხრივ, შეჯიბრებითი პროცესის გამოძახილს წარმოადგენდა.[35] ფაქტობრივად, ,,საქართველოში მოქმედი წესის ანალოგი არ მოიპოვება არც საერთო სამართლის და არც კონტინენტური ევროპის სამართალში“.[36]

მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსამართლის უფლებამოსილების ამგვარ შეზღუდვას ზოგიერთი ავტორი ეჭვის ქვეშ აყენებდა, მაშინ, როდესაც „სამართლიანი სასამართლოს პრინციპი უპირატესია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში“.[37] მეტიც, ავტორთა ნაწილი ზემოთ ხსენებულ ნორმას მიიჩნევდა საკანონმდებლო ხარვეზად, რომელიც ახდენდა მოსამართლის როლის დისკრედიტაციას და ეწინააღმდეგებოდა მართლმსაჯულების ინტერესებს, რადგანაც აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.[38] მსგავსი საკანონმდებლო რეგულირების პირობებში, მოსამართლეს ხელი ეშლებოდა საქმის ობიექტურ, მრავალმხრივ, ეფექტიან და სწრაფ გამოკვლევაში, რადგანაც მას არ შეეძლო საკითხის ირგვლივ მიეღო რელევანტური ინფორმაცია, გარკვეულიყო საქმის დეტალებში, რაც თავის მხრივ დაეხმარებოდა, საქმეზე გამოეტანა დასაბუთებული განაჩენი.[39] „ეს შეზღუდვა განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანია იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე არაკვალიფიციურობის ან სხვა მიზეზის გამო საკუთარ პოზიციას ჯეროვნად ვერ იცავს“.[40] ამასთან, „სისხლის სამართლის საქმის საბოლოო შედეგი ხშირად სწორედ მოწმის ჩვენებაზეა ხოლმე დამოკიდებული“.[41]

ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ეფუძნება ე.წ. ანგლო-ამერიკულ სამართლის (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი) მოდელს. თუმცა მაგალითად, საქართველოსგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში (ფედერალურ და შტატების დონეზე), მოსამართლეს აქვს უფლება, მოწმეს დაუსვას შეკითხვები.[42] დიდ ბრიტანეთში მოსამართლე არ განიხილება მხოლოდ არბიტრად, მკაცრი გაგებით - რომელიც არ მონაწილეობს მხარეთა მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში. მისი მიზანია საქმეზე ,,სიმართლის დადგენა და კანონის მიხედვით სამართლიანობის აღსრულება“. შესაბამისად, მოსამართლე მტკიცებულებების გამოკვლევის, მათ შორის, მოწმის დაკითხვის პროცესში მონაწილეობს, როდესაც საჭიროა რაიმე დეტალის გარკვევა ან/და დაზუსტება.[43] სიმართლის დადგენის და ბუნდოვანების გაფანტვის მიზნით, შეჯიბრებით მოდელში, მოსამართლემ შესაძლოა კითხვები დაუსვას მოწმეს, მაგრამ ამით ადვოკატს საქმიანობაში ხელი არ უნდა შეეშალოს.[44]

---

[35] იქვე, 166.

[36] *მსხილაძე ლ.,* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის კომენტარი, ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი“, N2(66), 2020, 11.

[37] *ჩაკვეტაძე გ.,* მოსამართლის როლი შეჯიბრებითობის პრინციპით აგებულ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა N1(2), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2014, 34.

[38] იხ. *მსხილაძე ლ.,* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის კომენტარი, ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი“, N2(66), 2020, 11.

[39] იხ. *გურიელი ა.,* მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები, როგორც სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის საშუალება სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი ,,სამართალი და მსოფლიო“, N5, 2016, 51.

[40] იქვე.

[41] *დიასამიძე ფ.,* მოწმის დაკითხვის წესი თანამედროვე ქართულ სამართალში, ჟურნალი ,,სამართალი და მსოფლიო“, N13, 2019, 160.

[42] *კვირიკაშვილი მ.,* მოსამართლის როლი მოწმის დაკითხვის პროცესში, ირინა აქუბარდია 60 -საუბილეო კრებული, *ივანიძე მ. (რედ.),* თბ., 2020, 164.

[43] *Teoh P.,* Judge's *Role in Adversarial and Inquisitorial Systems,* 2015, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/635f5 [26.10.2023].

[44] *Finkelstein R.,* The Adversarial System And The Search For Truth, Monash University Law Review, Vol. 37, No1, 138, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/o6k10 [26.10.2023].

ამრიგად, შეჯიბრებით მოდელში მიზანშეწონილია და მოსამართლეც ვალდებულია მოწმეს დაუსვას შეკითხვები, თუ ეს საჭიროა სიცხადის და სასამართლო პროცესის დასაჩქარებლად, რადგანაც „სიცხადე ხელს უწყობს სამართლიანობას“ - ყოველი სისხლის სამართლის პროცესის მიზანია სიმართლის გარკვევა და სამართლიანობის აღსრულება.[45] მნიშვნელოვანია, მოსამართლეები იყვნენ ნეიტრალურები და დამოუკიდებლები, როდესაც ისინი აფასებენ მხარეთა მტკიცებულებებს. ამასთან, მოსამართლეებმა უნდა გამოიჩინონ „სამოსამართლო თვითშეკავება“ - სისხლის სამართლის პროცესის დასრულების შემდეგ მხარეებს უნდა რჩებოდეთ განცდა, რომ მათ სასამართლომ სამართლიანად მოუსმინა და სრულყოფილად გამოიკვლია მტკიცებულებები.[46]

1.3 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილების სამართლებრივი ანალიზი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადება - „მოსამართლე უფლებამოსილია, გამონაკლის შემთხვევაში, მხარეებთან შეთანხმების შედეგად, დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად“, კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა N1478 საქმეში.[47] კონსტიტუციური წარდგინების ავტორის შეფასებით, უშუალოდ მოსამართლე აფასებს და ადგენს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამდენად, „ბუნდოვანების გასაფანტად, კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფისთვის, მოსამართლეს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, მხარეთა თანხმობისგან დამოუკიდებლად დასვას დამაზუსტებელი კითხვები“.[48]

საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაედგინა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების კონსტიტუციურობა საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლებასთან მიმართებით (საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება). საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური წარდგინება და არაკონსტიტუციურად ცნო ხსენებული სადავო ნორმა, რადგანაც მიიჩნია, რომ იგი სისხლის სამართალწარმოების პროცესში მოსამართლეს უზღუდავდა, მათ შორის, ისეთი კითხვის დასმის შესაძლებლობას, „რომელიც არ ხელყოფდა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპსა და მოსამართლის მიუკერძოებლობას“.[49]

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „სასამართლოს მიუკერძოებლობის მოთხოვნა ასევე ვრცელდება იმ პროცესზე, რომლის მეშვეობითაც და რომლის შედეგადაც მიიღება აღნიშნული გადაწყვეტილება. სასამართლომ საკუთარი ფუნქციები უნდა განახორციელოს ფავორიტიზმის, საქმის განხილვის რომელიმე მონაწილისადმი წინასწარი

---

[45] *Hamilton H., Hobgood H.,* When Should a Trial Judge Intervene to Question a Witness? Campbell Law Review, Vol. 3. Issue 1 1981, Art. 3, 2012, 69.

[46] *Akinbode A.,* Summerell T., How much can a judge intervene in cross-examination before a trial becomes unfair? Dentons, 2017, https://rb.gy/ojber [26.10.2023].

[47] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე ,,თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“.

[48] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე ,,თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, I-9.

[49] იქვე, II-51.

მიმხრობის ან წინასწარი განწყობის გარეშე“.[50] სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქმედებისგან, რომელიც მას სასამართლოს პროცესის მხარედ წარმოაჩენს, ამისათვის სასამართლო ვალდებულია პროცესის რომელიმე მხარის მიმართ არ გამოხატოს კეთილგანწყობა ან მტრული დამოკიდებულება. მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის გარეგნულ გამოვლინებასაც, ამისათვის „აუცილებელია, საქმის მხარეებისათვის, ისევე, როგორც საზოგადოებისათვის, სასამართლო წარმოჩნდებოდეს და აღიქმებოდეს მიუკერძოებლად“.[51]

სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე საუბრისას, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო არის პასუხისმგებელი უზრუნველყოს ამ პრინციპის დაცვა, მაგრამ „მნიშვნელოვანია, სასამართლო, აღნიშნული პრინციპების დაცვის მოტივით, არ თავისუფლდება თავისი უმთავრესი პასუხისმგებლობისაგან – პირის ბრალეულობის შესახებ გამორიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი და აღასრულოს მართლმსაჯულება“.[52] ამასთან, მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში სასამართლოს აქტიურმა და მხარეთა ნებისგან დამოუკიდებელმა ჩართულობამ, შესაძლებელია გავლენა იქონიოს მხარეთა სტრატეგიაზე - „სხვადასხვა დეტალებთან დაკავშირებით დასმულმა კითხვამ შესაძლებელია, ის მიმართულება მისცეს პროცესს, რაზეც მხარეებს არ უფიქრიათ ან რა მიმართულებით წაყვანასაც არ ისურვებდნენ“.[53] მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების მიზანი არის ჭეშმარიტების დადგენა. შესაბამისად, ვერ იქნება ვერც ერთი მხარის ინტერესი დაცული, ხელოვნურად დააბრკოლოს მისი პოზიციის საწინააღმდეგო მტკიცებულების გამოკვლევა (მოწმის დაკითხვა), რომელიც მათ შორის, აუცილებელია დავის სამართლიანად გადასაწყვეტად.[54] ამასთან, „კონკრეტულ საქმეზე სამართლიანი და ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელების გარანტიას ინდივიდუალური მოსამართლე (ნაფიცი მსაჯულების სასამართლო) ქმნის“.[55]

საქმეზე სიმართლის ძიებისა და სამართლიანობის მიღწევის უზრუნველსაყოფად, საჭიროა მოსამართლემ მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში. სხვაგვარად, „სასამართლოს პასიურობამ და ხელოვნურმა ბოჭვამ შესაძლოა, გამოიწვიოს უსამართლობა – უდანაშაულო პირის მსჯავრდება ან დამნაშავე პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება“.[56] ,,მოწმის ჩვენების ბუნდოვანობამ შესაძლებელია, შექმნას პირის ბრალეულობის ცრუ განცდა და უდანაშაულო პირის მსჯავრდება გამოიწვიოს“.[57] არსებული რეგულირების პირობებში, მოსამართლეს ბუნდოვანების გასაფანტად, არ შეეძლო გამოეკვეთა და დაეზუსტებინა ის საკითხები, რომელთა ცოდნაც მოსამართლეს დაეხმარებოდა სიმართლის დადგენაში, შინაგანი

---

[50] იქვე, II-36.
[51] იქვე.
[52] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე ,,თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-38.
[53] იქვე, II-39.
[54] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე ,,საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-98.
[55] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე ,,თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-40.
[56] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე ,,თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-40.
[57] იქვე, II-50.

რწმენის ჩამოყალიბებაში და საქმეზე ობიექტური, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანაში.[58]

იმისათვის, რომ მოსამართლის მხრიდან მოწმეთა დაკითხვის პროცესში მონაწილეობამ არ ხელყოს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი ან/და სასამართლოს მიუკერძოებლობის კონსტიტუციური მოთხოვნები, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა კონკრეტული სტანდარტი. კერძოდ, მოწმის პირდაპირი ან ჯვარედინი დაკითხვის პროცესში მოსამართლის ჩართულობამ ხელი არ უნდა შეუშალოს მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევას და მეორე მხარის მტკიცებულებების გაბათილებას.[59] მოსამართლემ ეს უფლებამოსილება უნდა განახორციელოს „სამოსამართლო თვითშეზღუდვის ფარგლებში“ - ,,მოსამართლის ფუნქცია მდგომარეობს სასამართლო სხდომაზე წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაში, სიცხადის წახალისებაში და არა ახალი მტკიცებულების შექმნაში“.[60] სასამართლოს შეფასებით, მხარეთა მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში მოსამართლის მონაწილეობის დროს, მოსამართლემ მხარის ფუნქცია არ უნდა შეასრულოს, რითაც შესაძლოა გააჩინოს თუნდაც განცდა, რომ სასამართლო მიკერძოებულია რომელიმე მხარის მიმართ. აგრეთვე, ,,კითხვის დასმა არ უნდა განხორციელდეს იმგვარი ენითა და ტერმინოლოგიით, ტონით, ჟესტიკულაციით, ქცევით ან ფორმითა და ინტენსივობით, რომ შექმნას შთაბეჭდილება, რომ მას სჯერა მტკიცებულებათა ერთი ვერსიისა და არ იჯერებს ან ეჭვი ეპარება სხვა მტკიცებულებათა სისწორეში“.[61]

2. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებში მხარეთა მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში მოსამართლის მონაწილეობა – ძირითადი მიგნებები

ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს.[62] წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტის საკვლევი თემიდან გამომდინარე ყურადღება გამახვილდება მონიტორინგის ქვეშ არსებულ 2 სისხლის სამართლის საქმეზე:

1. ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე. წ. კარტოგრაფების) საქმე;
2. ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმე.

აგრეთვე, გაანალიზდება მხარეთა მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში მოსამართლის მონაწილეობის ხარისხი, შეფასდება მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე მოსამართლის „აქტიურობა“ რამდენად თავსებადია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოთ აღნიშნულ სტანდარტებთან.

ზოგადი დაკვირვების საფუძველზე, აღსანიშნავია, რომ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლის სამართლის საქმეებში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მესამე წინადადება *(,,მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად“)* დაცვის

[58] იქვე, II-48-49.
[59] იქვე, II-42.
[60] იქვე, II-42.
[61] იქვე, II-43.
[62] სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში), ადამიანის უფლებათა ცენტრი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/r9kfp [23.09.2023].

მხარისათვის არ ქმნიდა პრობლემებს.[63] ამ ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობამდე, მოსამართლეები სვამდნენ მხოლოდ დამაზუსტებელ ხასიათის შეკითხვებს, მაშინ როდესაც, მაგალითად, მოწმე დასმულ შეკითხვაზე ორ სხვადასხვა პასუხს სცემდა.[64] საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2021 წლის 28 დეკემბერს ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ,[65] გაიზარდა მოსამართლეების მხრიდან კითხვების დასმის სიხშირე, თუმცა არსებითად მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას და სასამართლოს მიკერძოებულობის განცდას ადგილი არ ჰქონია.[66]

2.1. ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე. წ. კარტოგრაფების) საქმე

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აკვირდებიან საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის ყოფილი უფროსის, ივერი მელაშვილისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდეგში - „შსს“) სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი მთავარი ინსპექტორის, ნატალია ილიჩოვას სისხლის სამართლის საქმეს. მათ ბრალი წარდგენილი აქვთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში - „სსკ“) 308-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებას, რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნისთვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ ან/და საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ. ბრალდებულებს 2020 წლის 8 ოქტომბრიდან 2021 წლის 28 იანვრამდე პერიოდში, აღვეთის ღონისძიების სახით, შეფარდებული ჰქონდათ პატიმრობა. 2021 წლის 28 იანვარს, პროკურატურის მიმართვის საფუძველზე, მოსამართლე ლელა კალიჩენკომ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 20000-20000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა. ამასთან, სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა ივერი მელაშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. გირაოს თანხის შესაგროვებლად, სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიამ“ სოციალურ ქსელში ინფორმაცია გაავრცელა, რის შედეგადაც, გათავისუფლებულების დასახმარებლად წამოწყებული კამპანიის ფარგლებში, მოქალაქეების მიერ, 2 საათში გირაოს თანხა – 40 000 ლარი სრულად შეგროვდა. საქმე განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში.[67]

ამ საქმის განმხილველი მოსამართლე ნინო ნაჭყებია, სხვა საქმის მოსამართლეებისგან განსხვავებით, არ გამოირჩევა მოწმეებისთვის კითხვების დასმის აქტიურობით. თუმცა, ისიც ჩართულია მხარეთა მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში. ამასთან, ზოგიერთ სხდომაზე გამოიკვეთა ისიც, რომ მოსამართლეს მოწმისათვის არ დაუსვამს შეკითხვები და მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში მისი ჩართულობა მინიმალური იყო.[68]

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ, მოსამართლის მხრიდან მხარეებისგან შესაბამისი ნებართვის აღების გარეშე მოწმისათვის კითხვის დასმა აღარ წარმოადგენს სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობისა და მხარეთა

---

[63] ინტერვიუ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების ადვოკატებთან, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 22.09.2023.
[64] ინტერვიუ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების ადვოკატებთან, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 22.09.2023.
[65] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე ,,თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“.
[66] ინტერვიუ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების ადვოკატებთან, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 22.09.2023.
[67] მონიტორინგის მიგნებები ასახულია შემაჯამებელ ანგარიშში: სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში), ადამიანის უფლებათა ცენტრი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/r9kfp [23.09.2023].
[68] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე. წ. კარტოგრაფების) საქმე: 18.11.2022.

თანასწორობის პრინციპის დარღვევას. ამის მიუხედავად, ამ საქმის განმხილველი მოსამართლის მონაწილეობა მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში არ ტოვებს ფავორიტიზმის, საქმის განხილვის რომელიმე მონაწილისადმი წინასწარი მიმხრობის ან წინასწარი განწყობის შთაბეჭდილებას.[69] ამასთან, მოსამართლე თავს იკავებს სასამართლო პროცესის რომელიმე მხარის მიმართ კეთილგანწყობის ან მტრული დამოკიდებულების გამოხატვისგან. მხარეებს თანაბარ პირობებში საშუალებას აძლევს გამოიკვლიონ წარდგენილი მტკიცებულებები.[70]

ამდენად, მოწმის პირდაპირი ან ჯვარედინი დაკითხვის პროცესში მოსამართლის ჩართულობით მხარეებს ხელი არ ეშლებათ წარდგენილი მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევასა ან/და მეორე მხარის მტკიცებულებების გაბათილებაში. შესაბამისად, მისი ,,აქტიურობით" არ ირღვევა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი ან/და სასამართლოს მიუკერძოებლობის კონსტიტუციური მოთხოვნები.

2.2. ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმე

2023 წლის 26 აპრილს დასრულდა სისხლის სამართლის საქმის განხილვა ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, სტეფანე გიქოშვილის, ლაშა სამხარაძის და კახაბერ ქეშიკაშვილის მიმართ. სასამართლო სხდომაზე პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა ბესიკ თამლიანთან, ემზარ სიუკაევთან და ლაშა სამხარაძესთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ბესიკ თამლიანი, ემზარ სიუკაევი და ლაშა სამხარაძე დამნაშავედ იქნენ ცნობილნი სსკ-ს 353–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რომელიც ჩაეთვალათ პირობითად. ამასთან, მათ განესაზღვრათ გამოსაცდელი ვადა და ყოველთვიური აღრიცხვის ვალდებულება პრობაციის ბიუროში.

რაც შეეხება ამ საქმეში ბრალდებულ სხვა პირებს - კახაბერ ქეშიკაშვილს და სტეფანე გიქოშვილს, ისინი არ დათანხმდნენ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. ბრალდების მხარე თავის დასკვნით სიტყვაში მოითხოვდა, ეს ორი ბრალდებული სასამართლოს დამნაშავედ ეცნო სსკ-ს 353–ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (სამართალდამცველზე თავდასხმა). სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის ეს მოთხოვნა და ბრალი 353–ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილიდან (სამართალდამცველზე თავდასხმა) გადააკვალიფიცირა 353-ე მუხლის პირველი ნაწილზე (სამართალდამცველზე ძალადობა/მუქარა), ვინაიდან სასამართლოს შეფასებით, წარდგენილი მტკიცებულებებით არ გამოიკვეთა პოლიციელზე თავდასხმის დანაშაულის შემადგენლობა. სასამართლომ ამ ორ ბრალდებულს სასჯელის სახით შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. თუმცა, დანიშნული სასჯელი ჩაითვალა პირობითად და, განესაზღვრათ გამოსაცდელი ვადა პრობაციის ბიუროში ყოველთვიურ აღრიცხვის ვალდებულებასთან ერთად.[71]

სასამართლო მონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა, რომ მოსამართლე აქტიურად იყო ჩართული მოწმის როგორც პირდაპირი, ისე ჯვარედინი დაკითხვის პროცესში და სვამდა შეკითხვებს. შედეგად იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე ცდილობდა ზოგიერთი

[69] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე. წ. კარტოგრაფების) საქმე: 15.12.2022.
[70] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე. წ. კარტოგრაფების) საქმე: 31.10.2022.
[71] მონიტორინგის მიგნებები ასახულია შემაჯამებელ ანგარიშში: სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში), ადამიანის უფლებათა ცენტრი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/r9kfp [26.10.2023].

მოწმისგან მიეღო როგორც დამატებითი ინფორმაცია,[72] ასევე, ეჭვის ქვეშ დაეყენებინა მოწმის ჩვენების სანდოობა და სისწორე.[73] ცხადია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მოსამართლე უფლებამოსილია მოწმისაგან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია, როცა მაგალითად, ასეთი მოწმის ჩვენება ორაზროვანია და საჭიროა მისი დაზუსტება. ამასთანავე, ,,მოსამართლის ფუნქცია მდგომარეობს სასამართლო სხდომაზე წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაში, სიცხადის წახალისებაში და არა ახალი მტკიცებულების შექმნაში".[74] აგრეთვე, იყო სხდომები, სადაც მოსამართლეს მოწმისათვის არ დაუსვამს არც ერთი შეკითხვა.[75]

ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლემ ეჭვი შეიტანა დაცვის მხარის მოწმის მიერ მიცემული ჩვენების სანდოობაში, მაშინ როდესაც მოწმის ჩვენების სანდოობა ბრალდების მხარეს ეჭვის ქვეშ არ დაუყენებია. მოსამართლის განცხადებით, მოწმის ჩვენება შეიცავდა რიგ უზუსტობებს.[76] ამასთან, ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლემ მოწმეს რამდენიმე კონკრეტული და დეტალური შეკითხვა დაუსვა მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებასთან დაკავშირებით, მეტიც, მან მოწმეს სთხოვა ისეთი საკითხების განმარტება და შეფასება, რომლებიც მოწმესთან არ დაუზუსტებიათ მხარეებს.[77] უდავოა, რომ მოსამართლის მონაწილეობამ მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში არ უნდა „შექმნას შთაბეჭდილება, რომ მას სჯერა მტკიცებულებათა ერთი ვერსიისა და არ იჯერებს ან ეჭვი ეპარება სხვა მტკიცებულებათა სისწორეში".[78]

საბოლოო ჯამში, სხდომებზე დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში მოსამართლის მონაწილეობის შედეგად არსებითად და ერთმნიშვნელოვნად არ გამოკვეთილა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის არსებითი და ღია დარღვევა. ეს შესაძლოა იმითაც არის გამოწვეული, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი „მყიფეა და საჭიროებს დამატებით განმარტებას".[79] ამის მიუხედავად იყო შემთხვევა, როდესაც „მოსამართლემ საკუთარი ინტერპრეტაციით შეცვალა ბრალდების მხარის შეკითხვის შინაარსი" და ბრალდების მოწმეებს მისცა შესაძლებლობა თავი აერიდებინათ, დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან".[80] საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში მოსამართლის მონაწილეობამ არ უნდა შექმნას სასამართლოს მიკერძოებულობის განცდა".[81] მსგავსი ეჭვების გამოსარიცხად, მნიშვნელოვანია,

---

[72] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმე: 10.11.2022.

[73] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმე: 26.12.2022.

[74] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე ,,თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-42.

[75] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმე: 16.12.2022.

[76] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმე: 12.10.2022

[77] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმე: 22.11.2022.

[78] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე ,,თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-43.

[79] იქვე.

[80] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმე: 11.07.2022.

[81] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე ,,თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", II-43.

მოსამართლეებმა ეს უფლებამოსილება განახორციელონ „სამოსამართლო თვითშეზღუდვის“, კონსტიტუციით დადგენილი წესრიგის ფარგლებში სასამართლოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების დაცვითა და ფორმით.

დასკვნა

მტკიცებულებების გამოკვლევისას, მათ შორის, მოწმის პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის პროცესში მოსამართლის მონაწილეობა სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ნაწილია. „მოსამართლის მიერ მტკიცებულების შინაარსის სრულყოფილად გააზრება არა რომელიმე მხარის, არამედ, ზოგადად, მართლმსაჯულების ინტერესებს ემსახურება“.[82] მოსამართლის უფლებამოსილების შეზღუდვა - მოწმეს დაუსვას შეკითხვა, მათ შორის - ისეთი ფორმის შეკითხვა, რომელიც არ ხელყოფს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპსა და მოსამართლის მიუკერძოებლობას, ზღუდავს სამართლიანი განხილვის უფლებას.[83]

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ ზემოთ განხილულ სისხლის საქმეებში, მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში და მოწმეთა სასამართლოში დაკითხვის ეტაპზე, მართალია, მოსამართლეები გამოირჩევიან აქტიურობით, მაგრამ მათი ეს „აქტიურობა“, ძირითად შემთხვევებში, მიმართულია მოწმის მიერ მიცემული ჩვენების ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტებისკენ და არა ახალი ფაქტობრივი გარემოების შექმნისაკენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსამართლის ამ ჩართულობას არ აპროტესტებენ თავად დაცვის მხარის ადვოკატები.[84] მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული საქმის ადვოკატების შეფასებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი მყიფეა და საჭიროებს კიდევ უფრო მეტ განმარტებას, რადგანაც მოსამართლეებს სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და საქმეზე სიმართლის დადგენის უფლებამოსილების სარჩულის მოხმობით, შეუძლიათ ლავირება და მათ შორის, მოწმისათვის ისეთი შეკითხვის დასმა, რომელმაც შესაძლებელია კითხვის ქვეშ დააყენოს მხარეთა შეჯიბრებითობა.[85]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, არ გასულა დიდი დრო. შესაბამისად, შეუძლებელია ზუსტი დასკვნების გაკეთება, იქონია თუ არა აღნიშნულმა გავლენა პრაქტიკაზე და მიზანშეწონილი იყო ამ გადაწყვეტილების მიღება. სამართლიანი სასამართლოს პრინციპის ეფექტიანად რეალიზაციასა და მართლმსაჯულების აღსრულებისათვის, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს მოწმისათვის კითხვების დასმის უფლებამოსილება, მაგრამ მნიშვნელოვანია, მოსამართლის „აქტიურობა“ შესაბამისობაში იყოს „გონივრული სამოსამართლო თვითშეზღუდვის“ ფარგლებთან, მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობისა და სასამართლოს მიუკერძოებლობის კონსტიტუციურ მოთხოვნებთან.

---

[82] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე ,,თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-50.

[83] იქვე, II-51.

[84] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ბესიკ თამლიანის, ემზარ სიუკაევის, კახაბერ ქეშიკაშვილის, სტეფანე გიქოშვილისა და ლაშა სამხარაძის საქმე: 11.07.2022.

[85] ინტერვიუ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების ადვოკატებთან, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 22.09.2023.